

კონო კლუბი #1

თარიღი: 08.07.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

ფილმის სახელწოდება: სექსუალური დამოკიდებულება

მაყურებლები: 15 მამაკაცი და 8 ქალი, 1 FtM

ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენლებმა ლგბტ საზოგადოებას წარმოუდგინეს კინო კლუბის ღონისძიება და დასძინეს, რომ ეს აქტივობა, ისევე, როგორც სადისკუსიო კლუბები, ფოკუსირებულია ჯგუფისთვის პრობლემურ საკითხებზე, კინოს შესაძლებლობის ფარგლებში. ღონისძიება დაეხმარება ჯგუფის გაძლიერებას და ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას.

ფილმ “სექსუალური დამოკიდებულების” შესავალი ძალიან მოკლე იყო და და მოიცავდა ინფორმაციას ფილმის შესახებ.

დისკუსიები:

ფილმის ჩვენების იდეა მაყურებლების უმრავლესობამ მოიწონა.

როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, ნოველების სიმრავლე მოულოდნელად ერწყმება ერთმანეთს ფილმის ბოლოს, რაც ძალიან ძლიერ შთაბეჭდილებას ვეიტოვებს.

ფილმის ყველაზე მნიშვნელოვანი შეტყობინებები იყო:

- ჰომოფობია, რასიზმი, სექსიზმი და ქსენოფობია ძალიან ეფექტურად არის შერწყმული მოქმედი პირების მეტყველებაში;
- სექსუალობის მთავარი მიმართულებაში ნაჩვენებია სხვებზე ძალაუფლების დამტკიცების აქტი, ან სქესობრივი სიმწიფის დამტკიცება, ანაც ძალადობის და დამცირების აქტი;
- ყველაზე მეტად იტანჯება ის მსხვერპლი, რომელიც ორმაგ ცხოვრებას ამჯობინებს, ძალავს საკუთარ სექსუალობას და იძულებით თამაშობს როლებს;
- ფილმში ნაჩვენები შედარებით გახსნილი პერსონაჟები, როგორც მაგალითად გეი აქტივისტია, იცილებს პირდაპირ ძალადობას პრობლემის პირისპირ დადგომით, საკუთარი თავის დიდ და მძლავრ საზოგადოებასთან მიკუთვნების გზით, ვიდრე ცალკეული პირები, რომლებიც პრობლემას ჩაკეტილები ხვდებიან.

კინო კლუბი #2

თარიღი: 28.07.2006

შენვდრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

ფილმის სახელწოდება: სექსუალური დამოკიდებულება

მაყურებლები: 12 მამაკაცი და 5 ქალი, 1 FtM

ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენლებმა შესავალი გაუკეთეს ფილმ “ჩვენ ღირებულებას” და აღნიშნეს, რომ გარდა სხვა თემებისა, ეს ფილმი გვიჩვენებს ოჯახებში ურთიერთობების სხვადასხვაგვარობას.

დისკუსიები:

ჯგუფის წარმომადგენლებმა სხვადასხვა მოსაზრება გამოთქვეს ფილმის კინემატოგრაფიული ფასეულობის შესახებ. ზოგიერთ მონაწილეს დიდად არ მოეწონა ფილმი, მისი სიმარტივის გამო. სხვებმა კი აღნიშნეს, რომ სწორედ სიმარტივის გამო მოეწონათ ფილმი. მათი აზრით, კინო კლუბში ფილმები პირველ რიგში თემატურობის პრინციპით უნდა შეირჩეს და არაა აუცილებელი ყველა ფილმი შედეგრი იყოს. შესაბამისად, ძალიან მისაღება ისეთი ფილმები, რომლებსაც შეუძლიათ რაღაც სტიმული მოგვცენ გარკვეულ პრობლემატურ საკითხებზე დასაფიქრებლად.

ზოგიერთმა სტუმარმა მამის გახსნილი დამოკიდებულება ვაჟისადმი და მისი მეგობარი ბიჭისადმი ყალბად და ძალდატანებით გახსნილობად აღიქვა, რომელიც გამოწვეული უნდა იყოს ფარული ჰომოფობიით. დანარჩენები არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას და დასძინეს, რომ მამამ, რომლის დედაც ლესბოსელი იყო, ძალიან კარგად იცოდა ჰომოსექსუალური ურთიერთობის რაობა და სწორედ ამიტომ ჰქონდა ტოლერანტული დამოკიდებულება.

რეჟისორის არჩევანი, რომ გადაეღო ყოფილი ფილმი ჰომოსექსუალების, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის შესახებ, ასევე სხვადასხვანაირად იქნა აღქმული. უმეტესობამ დაასკვნა, რომ ფილმში ჰომოსექსუალობის თემა ხაზგასმული სულაც არაა და ეს ხელს უწყობს გმირებთან იდენტიფიკაციას.

ყველამ აღნიშნა, რომ ეს ფილმი ფართო საზოგადოებამ უნდა ნახოს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, დადებით ზეგავლენას იქონიებს საზოგადოებრივ აზრზე.

იყო მცდელობა საზოგადოებრივი ტვირთის გაგების შემოტანისა საუბარში იმ ჭრილში, რომ გეი მამაკაცს მოუწია თავისი პარალიზებული მამის მოვლა, მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელმა ურთიერთობა გაწყვიტა თავის მეგობარ ქალთან, რომელიც ძალიან ჰომოფობიურად მოიქცა. თუმცა, ჯგუფის წარმომადგენლებმა არჩიეს, თანმივდევრულად ყველას გამოეთქვა აზრი და ამით დასრულებულიყო დისკუსია.

ზოგადად, ფილმმა ძალიან აქტიური დისკუსიები გამოიწვია და მრავალი განსხვავებული აზრი გამოითქვა.

დისკუსიის დასასრულს, ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენლებმა შეაჯამეს ზაფხულში გამართული ღონისძიებები და ჯგუფს დაურიგეს კითხვარი სადისკუსიო და კინო კლუბის ღონისძიებების შესაფასებლად.

კონო კლუბი #3

თარიღი: 21.09.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

ფილმის სახელწოდება: სექსუალური დამოკიდებულება

მაყურებლები: 7 მამაკაცი და 4 ქალი, 1 FTM . მათ შორის 4 ახალი მონაწილე

შესავალი:

სანამ ფონდ “ინკლუზივის” ფასილიტატორი მხატვრულ ფილმ “კინსის” წარმოადგენდა, მან ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, სახელწოდებით “უსიყვარულოდ” გაუშვა.

ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს რეჟისორს, მის ფილმში მონაწილე მსახიობს და სთხოვეს, დასწრებოდნენ ძირითადი ფილმის ჩვენებას.

ფასილიტატორის მიერ გამართული დისკუსიის შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- კინსი პირველი მეცნიერი იყო, რომლის კვლევებმაც მკვეთრად შეცვალა წარმოდგენები ადამიანის სექსუალობის გამოვლინების სხვადასხვა ფორმების შესახებ;
- კინსის ცხოვრებაზე შექმნილ ფილმში კარგად ჩანს, რომ არათუ კვლევის შედეგები, რომელიც შოკისმომგვრელი იყო ამერიკელი პურიტანებისათვის, არამედ თვით ამ თემებზე მუშაობაც, სშირად მეცნიერებსაც კი ჩაკეტილი საზოგადოებისა და რელიგიური ინსტიტუტების აგრესიის მსხვერპლად აქცევს;

დისკუსია:

ფილმის ჩვენების შემდეგ, დისკუსიაში ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერთნენ. დისკუსია ძირითადად კინსის კვლევის შედეგებს ეხებოდა, რომელთაც მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ამ კვლევის შედეგებმა გააბათილა უამრავი ცრურწმენა ადამიანის სექსუალობის ბუნებასთან დაკავშირებით.

კონო კლუბი #4

თარიღი: 07.10.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

ფილმის სახელწოდება: ჩემი სიყვარულის ზაფხული

მაყურებლები: 12 მამაკაცი და 12 ქალი, 1 FtM, 2 MtF, – მათ შორის 8 ახალი მონაწილე

შესავალი:

ფილმ “ჩემი სიყვარულის ზაფხული”-ს წარმოდგენამდე, ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელმა მოწვეულ მაყურებლებს გააცნო ფონდის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოლდოვადან და ჰოლანდიიდან, რომლებიც საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ.

დისკუსიის ფასილიტატორმა ეს ფილმი მსუბუქი სიუჟეტის გამო აირჩია. ფილმი ორი გოგონას სასიყვარულო ისტორიას მოგვითხრობს. ფილმში ერთსქესიანი სიყვარულის თემა მჭიდროდაა გადახლართული სოციალურ და გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ პრობლემებთან. ამგვარი ფილმის შერჩევა კინო კლუბში გამართულ ჩვენებაზე უცხოელი სტუმრების მოსვლამ განაპირობა. ვინაიდან სამ ენაზე დისკუსიის წარმართვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ფილმის მარტივმა სიუჟეტმა კი საშუალება მოგვცა ზედაპირულად გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის მიღებული შთაბეჭდილებები.

კინო კლუბი #5

თარიღი: 03.11.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

ფილმის სახელწოდება: ტრანსამერიკა

მაყურებლები: 10 მამაკაცი და 9 ქალი, 1 FtM, 1 MtF, – მათ შორის 5 ახალი მონაწილე

შესავალი:

კინო კლუბის ფასილიტატორის მიერ წარმოდგენილი შესავალი ეხებოდა ტრანსგენდერის თემას და არსებულ ძირითად საკითხებს, ტრანსგენდერის თემა კინო კლუბისთვის განპირობებული იყო წინა სადისკუსიო კლუბის დროს ჩატარებული ტესტების შედეგებიდან, რომელმაც აჩვენა, რომ ეს სეგმენტი ჯგუფის წარმომადგენლების თვალსაზრისით, ყველაზე მეტადაა დისკრიმინირებული. ფასილიტატორმა ასევე აღნიშნა ფილმის დადებითი მხარე. პირველ რიგში, ეს რეჟისორისა და სცენარისტის დამსახურებაა, რომლებმაც შეძლეს და ტრანსექსუალებსა და ტრანსვესტიტებზე შექმნილი სტრეოტიპების საწინააღმდეგოდ, სხვა რაკურსით დაგვანახეს მთავარი გმირის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები.

დისკუსია:

ფილმის ჩვენების შემდეგ, დისკუსიაში ლებტ საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერთნენ. დისკუსიიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი მოსაზრებები:

- ფილმი შეიძლება ჩაითვალოს სტრეოტიპებისგან თავისუფალი, გენდერულად კორექტული და სენსიტიური ნამუშევრის მაგალითად;
- ქალი მსახიობი საოცრად პროფესიონალურად თამაშობს MtF-ის როლს;
- ტრანსგენდერი პირები, ხშირად თვით ლებტ საზოგადოებაშიც კი დისკრიმინირებულები არიან;
- დღემდე, ტრანსგენდერ ხალხს ყველაზე ძნელად იღებს საზოგადოება;
- ამასთანავე, ტრანსექსუალობა ჯერაც არ არის საკმარისად შესწავლილი;
- მამაკაცისა და ქალის ქცევა ადვილად სწავლებადია და სულაც არ განსაზღვრავს ადამიანის თვითშეგრძნებას.

დისკუსიის დასასრულს, ძირითადი მოსაზრებები შეჯამდა და კინო კლუბის მაყურებლებმა გააგრძელეს დისკუსიები და ურთიერთობა არაფორმალურ გარემოში. ფასილიტატორები და მოწვეული სტუმრები შეთანხმდნენ, რომ დისკუსიის შემდეგი თემა შეეხებოდა ტრანსექსუალობას/ტრანსგენდერ ადამიანებს.

კონო კლუბი #6

თარიღი: 17.11.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

ფილმის სახელწოდება: ახალი მიწა

მაყურებლები: 8 მამაკაცი და 11 ქალი, 1 FtM, – მათ შორის 4 ახალი მონაწილე

შესავალი:

სანამ გერმანელი კინორეჟისორის, კერსტინ ნიკიგის დოკუმენტურ ფილმს “ახალი ქვეყანა” (36წთ. 2004, რუსეთი, გერმანია) წარმოადგენდნენ, ფონდ “ინკლუზივის” თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას ფილმის რეჟისორი და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თანამშრომელი წარუდგინა.

კინო კლუბის ფასილიტატორმა (ფილმის რეჟისორი) ფილმს შესავალი გაუკეთა: ფილმი ორი ქალის სიყვარულზე მოგვითხრობს, რომლებიც ცირკის მსახიობები არიან. ფილმი, რომელზეც რეჟისორი 6 თვეზე მეტ ხანს მუშაობდა, ლესბოსელთა წყვილის ქორწინებით მთავრდება.

დისკუსია:

ფილმის ჩვენების შემდეგ, დისკუსიაში ლებტ საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერთნენ. დისკუსიიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი მოსაზრებები:

- პირველი შეკითხვა, რაც რეჟისორს დაუსვეს, ასეთი იყო: იმყოფებიან თუ არა ფილმის გმირები დღემდე ქორწინებაში. ორწლიანი ქორწინების შემდეგ, ასტრიდი და ლარისა განქორწინდნენ;
- ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა ფილმის გმირების განსხვავებული მიმართება ქორწინების ინსტიტუტთან. გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთი-ერთი ფილმის გმირის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საბჭოთა წარსული განაპირობებდა - ბიუროკრატიულობის ფობია, რომელიც რეალურად შეიძლება განხილულიყო როგორც ქორწინების ხელისშემშლელი ფაქტორი;
- მაყურებლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ფილმშივე ჩანდა ლარისას ზედაპირული დამოკიდებულება არა მხოლოდ ქორწინების, არამედ, ზოგადად სტაბილური ურთიერთობების მიმართ. ამიტომაც, მათი განქორწინება შეიძლება ამის დამსახურება იყოს და არ გვაძლევს საფუძველს განვაზოგადოთ ეს შემთხვევა და დავასკვნათ, რომ ერთსქესიანი ქორწინებები არასტაბილურია;
- ჰომოსექსუალი მამაკაცები უფრო ხშირად იცვლიან პარტნიორებს, ვიდრე ჰომოსექსუალი ქალები;
- ჰეტეროსექსუალურ ქორწინებებში, არსებობს რამდენიმე ფაქტორი (ბავშვები, სოციალური ფაქტორები), რომელიც, წყვილს შორის ურთიერთობის გაუარესების შემთხვევაში გარკვეულწილად აკავებს ქორწინებას, მაგრამ ერთსქესიან ქორწინებაში ამგვარი ფაქტორების არარსებობა ხშირად უარყოფითად მოქმედებს;

შემდგომ, აუდიენცია გადაერთო ქორწინებასთან და გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებულ ადგილობრივ პრობლემებზე.

- ქალი რეალიზებულად ითვლება, როცა ის დედაა, და ქალის ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად ბავშვის გაჩენის უნარს თვლიან. საზოგადოება ნაკლებად დაინტერესებულია და ნაკლებად აფასებს ქალის მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში;
- ჩვენთან განქორწინება ქალისთვის ძალიან პრობლემურია (ფინანსური დამოკიდებულება, სოციალური სტატუსი, თავშესაფარი და ა.შ.);
- ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი სტერეოტიპი, რომელიც ჩვენს რეალობაში არსებობს, ისაა, რომ უშვილო წყვილის უნაყოფობის დროს ყოველთვის ქალი ითვლება დამნაშავედ. ამასთან ერთად, ქორწინებაში მყოფ უშვილო წყვილებზე კვლევის ჩატარების შემდეგ, ქალების 70% პროცენტი ჯანმრთელი იყო, და მათ ვერ შეძლეს, თავიანთი ქმრები დაეთანხმებინათ ანალიზის ჩატარებაზე.

დისკუსიის ბოლოს, მოსაზრებები შეჯამდა და შემდეგი სადისკუსიო თემა იქნა არჩეული, რომელიც ქორწინებას შეეხება.

P.S. იანვრის დასაწყისში, ფილმის მთავარი გმირი, ასტრიდი ჩამოვიდა თბილისში, თავის მეგობრის, ფილმის რეჟისორის სანახავად, რომელიც მოწვეულ იქნა ფონდ “ინკლუზივის” შეხვედრაზე. შეხვედრაზე, ასევე, მოწვეული იყო ფონდის მომავალი პროექტის ფილმის “ტანისამოსი, რომელიც გაცვია”, პროდუსერთა ჯგუფი და ბრიტანულ-ქართული კულტურული გაცვლითი ფონდის მენეჯერი. მონაწილეებმა განიხილეს კინემატოგრაფიაში და ზოგადად ხელოვნებაში ლეგებ თემებთან დაკავშირებული საკითხები. ფონდის წარმომადგენლებმა ინტერვიუ ჩამოართვეს ფილმის რეჟისორსა და მსახიობს, რომელიც გამოქვეყნდება ჟურნალ “მე”-ს 2007 წლის პირველ ნომერში და ფოკუსირებული იქნება ლესბიურ თემაზე.

კინო კლუბი #7

თარიღი: 08.12.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

ფილმის სახელწოდება: სთოუნვოლი

მაყურებლები: 15 მამაკაცი და 19 ქალი, 1 FtM, 2 MtF, – მათ შორის 9 ახალი მონაწილე

შესავალი:

ფილმ “სთოუნვოლის” წარმოდგენამდე, ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელმა კინო კლუბის სტუმრებს გააცნო ორგანიზაციის 2007 წლის გეგმები და აცნობა ფონდის ჩართულობის თაობაზე ევროპის საბჭოს მიერ კამპანიაში “ყველა სხვადასხვა, ყველა თანაბარი”.

ფასილიტატორის მიერ გამართული დისკუსიის შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- სთოუნვოლის ამბოხი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჰომოსექსუალთა უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიაში;
- პოლიციასთან პერმანენტულ შეტაკებებში, რომელიც 1969 წლის 28 ივნისს დაიწყო და რამდენიმე დღე გრძელდებოდა, გეებისა და ტრანსსექსუალების გარდა, უამრავი მხარდამჭერი იღებდა მონაწილეობას, რამაც მასშტაბური გახადა მოძრაობა და რამაც საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე;

დისკუსია:

ფილმის ჩვენების შემდეგ, დისკუსიაში ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერთნენ. დისკუსიის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრებები:

- ფილმმა შეიძლება ხელი შეუწყოს ჯგუფის გამხნეებას;
- ქამინგაუთის პრობლემა ისევ მწვავედ დგას საქართველოში. ძნელია იყო გახსნილი გეი, ლესბიანი, ბისექსუალი თუ ტრანსგენდერი ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რადგან ჰომოფობიის დონე ძალიან მაღალია;
- ლესბოსელთა წყვილმა, რომელიც წელიწადზე მეტია, რაც ერთად ცხოვრობს, წუხილი გამოთქვა იმ სირთულეებზე, რომელიც საქართველოში ღია ერთსქესიანი პარტნიორების თანაცხოვრებას თან სდევს;

აუდიტორიამ დისკუსია ჩვეულ - არაფორმალურ გარემოში გააგრძელა. დისკუსიის დასასრულს, მოსაზრებები შეჯამდა, ახალმა მონაწილეებმა მომავალ დისკუსიებში და კინო ჩვენებებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა – ჩვენებას 37 ადამიანი დაესწრო. მომავალი წლიდან “ინკლუზივის” კინო კლუბი გააგრძელებს მუშაობას და ჯგუფის წევრებს ახალ, საინტერესო ფილმებთან და ადამიანებთან შეხვედრას ჰპირდება.

